ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4449797

ნომერი: AR1664960

თარიღი : 01.04.2019

გაცემის თარიღი : 08.04.2019

გაცნობის თარიღი : 04.05.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 25;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გოშხოთელიანი პ/ნ 01026007472
- თბილისი, ს.ცინცაძის ქ. #83, ბ. 67

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 01.04.2019 წლის NAR1664960 განცხადება და დაადგინა, რომ სამშენებლო სამუშაოები ითვალისწინებს ქ. თბილისში, ჭავჭავაძს გამზ. N25-ში (ს/კ: N01.14.14.012.005) მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებულ ფართში არსებული ტიხრების დემონტაჟი და მზიდ კედლებს შორის არსებული ღიობების რეკონსტრუქცია/გამაგრება მოჩარჩოვება.

ამავე ფართზე სამსახურის 2018 წლის 5 ნოემბრის N4248376 და 2019 წლის 8 იანვრის N4329783 გადაწყვეტილებებით დადასტურდა I კლასის სამშენებლო (სარეკონსტრუქციო) სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობა. აღნიშნული გადაწყვეტილებები გასაჩივრებულია და აქტების მოქმედება შეჩერებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის განჩინებით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

ვინაიდან, განსახილველი განცხადებით სამშენებლო სამშენებლო სამუშაოების განხორციელება გათვალისწინებულია იმავე ფართზე, რომელთან დაკავშირებითაც სასამართლოში მიმდინარეობს დავა და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მოქმედება შეჩერებულია, ამ ეტაპზე, სამსახური მოკლებულია იმსჯელოს ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებზე და დააკმაყოფილოს 01.04.2019 წლის NAR1664960 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.